სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

28 მარტი, 2025 წ.

ბრძანება № 01 - 02/56

ბსუ-ს მოკლევადიან საგანმანათლებლო **პროგრამაზე**
„სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და რეაბილიტაცია“ მიღების გამოცხადების
შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-02/193 ბრძანების, ბსუ-ს „სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და რეაბილიტაციის“ მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 2 ივნისის N01-02/103 ბრძანების და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ფსიქოლოგიის მიმართულების კოორდინატორის, პროფესორ ქეთევან ბერიძის სამსახურებრივი ბარათის (14/03/2025 *MES2250000277932) და ,,ბსუ-ს ადმინისტრაციული პერსონალის ინდოეთში, ქალაქ ნიუ-დელიში მივლინების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 21 თებერვლის N01-14/43 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მოკლევადიან საგანმანთლებლო **პროგრამაზე** „სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და რეაბილიტაცია“ **გამოცხადდეს მიღება ბსუ-ს ვებგვერდზე ან/და სოციალური ქსელის მეშვეობით** (პროგრამის მოცულობა - 60 კრედიტი/სულ 12 მოდული (180 სატრენინგო/საკონტაქტო საათი); ჯგუფში 10-25 მსმენელი).
2. მოკლევადიანი საგანმანთლებლო **პროგრამის** „სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და რეაბილიტაცია“ ხელმძღვანელმა/პროფესიული პროგრამის მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ფსიქოლოგიის მიმართულების კოორდინატორმა ქეთევან ბერიძემ უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით პროგრამაზე მიღების გამოცხადების პროცესის წარმართვა და პროგრამით დაინტერესებულ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ, მსმენელთა ჩარიცხვის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტის წარმოდგენა.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს,

საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ფსიქოლოგიის მიმართულების კოორდინატორს, ბსუ-ს პროფესორ ქეთევან ბერიძეს.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **მერაბ ხალვაში**